ა. ოინხიძეა

ხელშეკრულება №8

„30" „ივნისი"-------"2011წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები, ერთის მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა, სკოლის დირექტორის აკაკი დიასამიძის სახით. შემდგომში „დამკვეთად" წოდებული და მეორეს მხრივ, ი/მ ალექსი გელაშვილი შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" „დამკვეთს" მიაწვდის დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმის ჩანაწერს: კინოპროექტი დაჭრილი მზე - საქართველოს ხერხემალი (კომპაქტ დისკი)

1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში.

მომსახურების სავარაუდო ღირებულება შედგენს 50 ლარს.

2. მხარეთა ვალდებულებები

„დამკვეთი" იღებს ვალდებულებას. მოახდინოს ანგარიშსწორება შესრულებული მომსახურების შესაბამისად.

„შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას „დამკვეთს" მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს სრულყოფილი და მაღალი ხარისხის საქონელი.

„შემსრულებელი" ვალდებულია „დამკვეთს" მომსახურებაზე წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასრულებამდე.

4. ზოგადი დებულება

არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან მოვალეობები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობები, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ფორს-მაჟორი

ხელშეკრულების პირობების ან რაიმე მათგანის მოქმედების შეჩერება შეიძლება გამოწვეული იქნეს ფორს-მაჟორის (ომის ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით).

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელია ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავასს, იგი განიხილება სასამართლოს გზით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი"
ლანჩხუთის მუნიციპალ;იტეტის
სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი
233727928
საბანკო რეკვიზიტები
ანგარიში №266898300
სს „ლიბერთი ბანკი " ლანჩხუთი
ბანკის კოდი BAGAGE22
მისამართი: სოფელი ნინოშვილი

აკაკი დიასამიძე
სკოლის დირექტორი

„შემსრულებელი"
ი/მ ალექსი გელაშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი
116434956
საბანკო რეკვიზიტები
ანგარიში № 17236010100001
თიბისი ბანკი რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი 220101844

ალექსი გელაშვილი